ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №2778556

ნომერი: AR1431547

თარიღი : 12.08.2016

გაცემის თარიღი : 19.08.2016

გაცნობის თარიღი : 19.08.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შუამთა , N 20 , (ნაკვ.34/4) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნაილი აბჟანდაძე პ/ნ 18001043332
- მე-3 მასივი 4 კვ. კ 4ბ 21

ორგანიზაცია:

- შპს ფირმა არბო კოდი: 208153914

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- II კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 624790
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 5.04.2013

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების

წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა სამსახურმა განიხილა 12/08/2016.წ. AR1431547 განცხადება რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სექტორი - სამგორი ქუჩა შუამთა , N 20 , (ნაკვ.34/4) -ში, შპს ფირმა არბოს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ.N 01.19.20.023.004) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (სავაჭრო შენობის რეკონსტრუქცია მიშენება –დაშენების) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 03/09/2014წ ბ-12/142118-16 ,ბ-12/142118-16/2 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევების წერილობით დადასტურებას.

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილული იქნა თქვენი საკითხი და განხილვის შედეგად გაცნობებთ: ვინაიდან ბრძანებაში დაფიქსირებულია, რომ – "გ-გ" ღერძის გარეთ ამოშენებულია კედლები და შექმნილია 7 კვ.მ. შიდა ფართი, შეცვლილია საპროექტო წითელი ხაზის კომფიგურაცია“ , რადგანაც ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 03/09/2014წ ბ-12/142118-16 ,ბ-12/142118-16/2 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევებით განხორციელებული მშნებელობა შეუსაბამოა ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან მიმართებაში და ვერ დაადასტურებს მათ დასაშვებობას ობიექტის შემდგომი ექსპლუატაციაში მიღების მიზნით.

ასევე გაცნობებთ, რომ “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 37-ე მუხლის თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად (გარდა განსაზღვრული გამონაკლისებისა). დაგჭირდებათ სამი სტადიის გავლა –მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემა (I სტადია), II (არქიტექტურული პროექტის შეთანხმება) და III (მშენებლობის ნებართვის გაცემა) სტადიები. ამათგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი წარმოება. მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ.

გაითვალისწინეთ : საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილებისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14–39 გადაწყვეტილების შესაბამისად შესრულებული.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.